

**36. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, 1999 წლის 20 ნოემბერი.**

**საქართველოს პარლამენტის დადგენილება** საქართველოს პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

განიხილა რა საქართველოს პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისიის წარდგინება, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. ცნობილ იქნეს 1999 წლის 31 ოქტომბერს, 7 და 14 ნოემბერს არჩეული საქართველოს პარლამენტის 221 წევრის უფლებამოსილება (სია თან ერთვის).

2. "საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის შესაბამისად დადასტურდეს საქართველოს პარლამენტის 1992 წლის არჩევნების შედეგად აფხაზეთიდან არჩეულ პარლამენტის წევრთა უფლებამოსილება საქართველოს პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა 3 თვის ვადაში მოამზადოს გადაწყვეტილების პროექტი აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტატებთან დაკავშირებით. ამასთან ძალაში დარჩეს პარლამენტის წევრის ბორის კაკუბავას მიმართ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 10 სექტემბერს მიღებული დადგენილება...

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის თავმჯდომარე ი. ხარატიშვილი.

1999 წლის 20 ნოემბერი.

(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", # 316-317, 1999 წლის 21 ნოემბერი)